ფინანსთა სამინისტრო

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია
LEPL - THE ACADEMY OF THE MINISTRY OF FINANCE

საჯარო სექტორის შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამა

საჯარო სექტორში სერტიფიცირებული შიდა აუდიტორის სტატუსის მისაღებად საჭიროა:

- პროგრამით გათვალისწინებული ოთხივე მოდულის გამოცდის ჩაბარება
- შიდა აუდიტის მიმართულებით მინიმუმ 12-თვიანი სამუშაო გამოცდილების დადასტურება, რომელსაც ამოწმებს ჰარმონიზაციის ცენტრი

პროგრამის სტრუქტურა და ფორმატი

პროგრამა ითვალისწინებს 4 სასწავლო მოდულს და 4 სასერტიფიკატო გამოცდას:

- მოდული 1: შიდა აუდიტის საფუძვლები
- მოდული 2: შიდა აუდიტის პრაქტიკა
- მოდული 3: მმართველობა, სტრატეგია, რისკების მართვა და კონტროლი
- მოდული 4: ადგილობრივი კანონმდებლობა (საჯარო სექტორისთვის)

თითოეული მოდული გრძელდება **7 კვირა** და მოიცავს:

- ონლაინ სასწავლო სესიებს;
- პირისპირ ტრენინგებს;
- შუალედური ინტერვალები დამოუკიდებელი სამუშაოსა და დავალებების შესრულებისთვის;
- პირისპირ სასერტიფიკატო გამოცდას;

სასწავლო მასალები

კურსის სახელმძღვანელოებსა და საჭირო სასწავლო მასალებს მონაწილეები მიიღებენ თითოეული მოდულის წინასატრენინგო შეხვედრაზე.

სერტიფიკატები

თითოეული მოდულის დასრულებისა და შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შემდეგ მონაწილე მიიღებს ამ მოდულის დასრულების სერტიფიკატს.

*გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ცალკეული მოდულის სერტიფიკატი არ ნიშნავს საჯარო სექტორის შიდა აუდიტორის სრულ სერტიფიცირებას.

ინფორმაცია კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის

შიდა აუდიტის საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტები გამოიყენება როგორც **საჯარო,** ასევე **კერძო სექტორში.**
პროგრამის მეოთხე მოდული – „ადგილობრივი კანონმდებლობა" გათვალისწინებულია მხოლოდ საჯარო სექტორისთვის.
შესაბამისად, კერძო სექტორის წარმომადგენლებს (თუ მათ არ სურთ საჯარო სექტორში დასაქმება) შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პირველ, მეორე და მესამე მოდულებში.

პროგრამის დაწყების თარიღი

2 ნოემბერი

პროგრამის ღირებულება

სრული პროგრამის ღირებულება: **5000 ლარი**
ერთი მოდულის ღირებულება (გამოცდის ჩათვლით): **1250 ლარი**

ხელშეკრულება ფორმდება **სრულ პროგრამაზე**, გადახდა შესაძლებელია მოდულების მიხედვით.

პროგრამის შესახებ

შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამა შემუშავებულია **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის – ჰარმონიზაციის ცენტრისა და OECD/SIGMA-ს** მრავალწლიანი თანამშრომლობის შედეგად, საერთაშორისო ექსპერტების აქტიური მონაწილეობით.

საჯარო სექტორის შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამა მიზნად ისახავს შიდა აუდიტორების პროფესიული ცოდნისა და კვალიფიკაციის გაძლიერებას და საქართველოში შიდა აუდიტის საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურად დაახლოებას, რომელსაც არეგულირებს

საქართველოს მინისტრის ბრძანება საჯარო სექტორის შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამის დებულების დამტკიცების შესახებ